საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ბადრი შონიას კანდიდატურა?
(დიახ) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან თევზაძე

30 მაისი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ბადრი შონიას საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისადმი წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო **ბადრი შონიამ.**

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ბადრი შონია, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 94 ქულა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისის №1/23 განკარგულების თანახმად, აღნიშნული პროცედურის შემდეგ ეტაპზე გადავიდა 3 კანდიდატი: გიზო უბილავა, ბადრი შონია და გოჩა ჯეირანაშვილი.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1392 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 92,80% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ბადრი შონიამ დაიკავა პირველი პოზიცია.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით 2024 წლის 30 მაისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა ბადრი შონიას კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე ბადრი შონიას კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ლევან თევზაძე